№ 218
კვირა, 11 ოქტომბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6—
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8—	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 218
კვირა, 11 ოქტომბერი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** 10½—11½ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11½—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ბ. კარაშეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ტ. ბურკო. 1½—2½ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2-მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.

მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—7)

ღარიბ ქართველ სტუდენტების მდგომარეობა რუსეთში

საითაც არ გავიხედოთ, რა მხრივ-აც უნდა შევხედოთ ჩვენს ცხოვრებასა და ჩვენებურ მოთავე-მოაზრე საზოგადოების ურთიერთობა—მოქმედებას, სულიერად ვშფოთდებით, უკმაყოფილება უნებლიედ გვებადება: რას ვშვრებით? საით მივდივართ? რას ვაკეთებთ იმ დროს, როდესაც ყველა, გონებით ბრმა ადამიანიც-კი, ჰხედავს, რომ განსაცდელში ვართ ჩავარდნილი; ყოველ მხრივ სასტიკი ხიფათი მოგველის: ჩვენი უბრალო ხალხი ცხოვრების ათას ნაირ გასაჭირით, სამძიმო ტვირთით არის სულ-შეხუთული, მაგრამ ჩვენის „ბიუროკრატიულ“ წეს-წყობილების მოტრფიალე „მოღვაწე“ ახალ-გაზდობისათვის ხომ უბრალო ხალხის კვნესა ტირილი რაღაც გაუგებარი, უცხო რამ არის; ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა ირჩობა, იტანჯება, ფიზიკურად მახინჯდება უნუგეშო, უხალისო მდგომარეობაში, მაგრამ ამ ნაირსავე გარემოებაში აღზრდილი და ცხოვრებაში გამოსული ახალგაზდობა სრულიად უცხოსავით გულ-გრილად უყურებს შორიდგან ამ მისთვის ნაცნობ გასაჭირს მდგომარეობაში მყოფ მოძმე-მოამხანაგეთ. რით უნდა აიხსნას ჩვენი ასეთი გულ-ქვაობა და უთანაგრძნობლობა. ნუ თუ იმდენად გადავგვარდით, იმდენად დავმახინჯდით გრძნობით, რომ ჩვენიანის, მახლობელის ტანჯვა-გაჭირვება და წუხილი გულს არ გვწვდება და არ იწვევს არავითარს თანაგრძნობას? რამდენ ნაირის უკმაყოფილებითა და ზიზღით უნდა აივსოს გული ყველა ჩვენ ცხოვრების ვითომდა მოთავესი მაშინ, როდესაც დაახლოვებით შეისწავლის, გაიცნობს ჩვენის მოზარდ, საიმედო შვილების გარემოება-მდგომარეობას!..

უმრავლესობა (75%) ჩვენის ახალ-გაზდებისა, რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში უმაღლეს სწავლის მისაღებად გადახვეწილი, შესაბრალისს, უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება: არავითარი ქონებრივი შველა-დახმარება არსაიდანა აქვს. ნათესავ მშობლებს ან სრულიად არ აქვთ მოხერხება ხელი მოუმართონ, ან და სრულიად უყურადღებოდ მიტოვებული ჰყავთ, რადგანაც ჩვენში დღემდის გავრცელებულია ის აზრი, რომ „სტუდენტს უიმისოდაც ბევრი დამხმარე ჰყავსო და შინიდგან შემწეობა არ ესაჭიროებაო“. ჩვენი საზოგადოება, როგორც სხვა ჩვენებურ საქმეებს, ახალგაზდების ინტერესსაც გულ-გრილად ეპყრობა. ჩვენებური ახალგაზდა, ყველასაგან უპატრონოდ მიტოვებული, იძულებულია უიარაღოდ ებრძოლოს ცხოვრებას: უმრავლესობა დილიდგან საღამომდე გაკვეთილებსა და კერძო სამსახურში ჰკარგავს თავისს ნორჩს ძალ-ღონეს, რომ ამითი დღიური სარჩო მოიპოვოს. ეს ნაწილი კიდევ ბედნიერად ჩაითვლება ჩვენებურს მოსწავლეთა რიცხვში. უმეტესობა სრულიად უბინაოდ, უჭმელ-უსმელი რჩება მთელის თვეობით. ყველგან ცნობილია, რომ ქართველი სტუდენტისთანა ღარიბი, უპატრონო არსად არ მოიძებნება. რამდენიმე მაგალითია იმისა, რომ ჰლექდება, სნეულდება, ილევა, ჰკრება, სისხლხორცით აყვავებული ჩვენებური ახალ-გაზდობა ამ მდგომარეობაში.

ნუ თუ საკმარისი არ არის ამ მაგალითების წარმოდგენა, რომ უკმაყოფილობის გრძნობით ავივსოთ იმ ჩვენთა შეგნებულ მოძმეთა მიმართ, რომელნიც, სიამოვნებით განებივრებულნი „ჰარალო, თარიალალოს“ გაიძახიან ყოველ-დღე და „გაუმარჯოს საქართველოს“ სიტყვით წარმოთქმაზედ სცლიან მრავალნაირ სასმელებს. კიდეც რომ შევურიგდეთ იმ ვითომდა თანამედროვე აზრს, რომ ყოველი კაცი თავისის სიამოვნებისათვის უნდა სცხოვრობდესო, არ შეგვიძლიან ერთი-ორად არ გავკიცხოთ ისინი, რომლებიც ასეთ სიამოვნება-კმაყოფილებაში ატარებენ დროს და თან ჩვენი შიმშილ-სიცივით ღონე-მიხდილი ახალ-გაზდების რამოდენიმე მანეთი ვალი ,მართებთ: ვინ არ იცის, რამდენჯერ გამოქვეყნებული ამბავი, რომ რუსეთის ყველა უნივერსიტეტის ქართულ წრეებისა 10,000 მანეთზედ მეტი ვალი ითვლება სხვა-და სხვა ჩვენებურ მოღვაწეებზედ, რომლებისათვისაც იმ ვალის გადახდა ძლიერ ადვილია, მაგრამ ვინ უყურებს სამართალს, პატიოსნებას, ზნეობრივს ვალს?! რამდენი შეღავათი დახმარება იქნებოდა, ეს გასესხებული ფული რომ შეკრებილიყო თვითეულ უნივერსიტეტში მყოფ ჩვენებურ ღარიბ სტუდენტებისათვის! რა გზით, რა რიგად იმოქმედონ ამ შიმშილ-წყურვილით დაქანცულმა მოსწავლეებმა თავიანთ მოვალეებზედ. ერთად-ერთი საშუალება ის არის, —გამოაცხადონ იმათი სია და ქართველს საზოგადოებას აცნობონ იმათი ვინაობა, რომ ეს საზოგადოებამ ჯეროვანად დააფასოს იმათი საქციელი, ზნეობრივად გავლენა იქონიოს და იძულებულ გახადოს გარდაიხადონ თავიანთი ვალი!..

ნიკო თავდგირიძე

◆◆

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო გუბერნსკი სეკრეტრობა—ტფილისის გუბერნიის, სიღნაღის მაზრის ქოდალოს ნაწილის ბოქაულის თანაშემწეობის აღმასრულებელს თავადს ჯორჯაძეს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა: ქუთაისის გუბერნიის გლეხის საქმეთა სამკრებულოს კანცელარიის მოხელეს სალარაძეს და ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეებს ლოლობერიძეს და ალსაბაძეს.

დანიშნულ იქმნა ყარსის სამაზრო ხაზინის კანცელარიის მოხელე მინდელი—ამავე ხაზინის თარჯიმნად.

ახალი ამბავი

⁂ დღეს, კვირას, ანჩისხატის ტაძარში მწირველი ბრძანდება გორის ეპისკოპოსი ლეონიდი. როგორც გვითხრეს, ამის შემდეგ ყოველ კვირა უქმე დღეს ანჩისხატის ტაძარში იქმნება მუდამ მღვდელთ-მთავრის წირვა ქართულის გალობით. ამრიგად ძველს საკათალიკოზო ტაძარს კვლავ უნდა დაუბრუნდეს თვისი მნიშვნელობა და წარსული დიდება რაოდენადმე მაინც. იმედია, რომ ქართველთა საზოგადოება გულ-უხვად ისარგებლებს ამ სულიერის საზრდოთი და მხარს დაუმშვენებს სასულიერო მთავრობის განკარგულებას.

⁂ „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობის მოლაპარაკებამ თავად-აზნაურთა კომისიასთან თეატრის იჯარით აღების შესახებ უნაყოფოდ ჩაიარა. კომიტეტმა საზარალოდ სცნო იმ პირობებით თეატრის აღება, რა პირობებიც კომისიამ აღნიშნა. ამიტომ თეატრი ძველ მეიჯარადრეებს ბ-ნთ ვალერიან გუნიასა და კოტე მესხს დარჩათ.

გამგეობამ, 8 ოქტომბერს, კრებაზედ გარდასწყვიტა დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ სეზონისათვის დასის შედგენას. რადგანაც ფული მეტად მცირე აქვს, კომიტეტმა გარდასწყვიტა რამდენადაც-კი შეიძლება ხარჯი შეამციროს და თვით არტისტებს წინანდელთან შედარებით ჯამაგირი ნა-

ფელეტონი

ელეგია.

გადავდეგ... მზე მიმიხდება,
მაგრამ შუადღეც მდგომია.
ჩემს გამოზრდაში მეგობრად
ბევრი ქალ-ვაჟი მყოლია,
მაგრამ მათ ძმობა, ნდობასა
ბოლო-კი არა ჰქონია,
შემოქმედისთვის, რა ვიცი,
მითომ რა დიდი რამ იყო,
რომ სიკვდილამდე მშობელი
მამა ცოცხალი მყოლიყო
და დედის საუბარითაც
გული სმენითა მტკბარიყო?
წესადამც იყოს მშობლების
მოვლით სრულება გულისა.
ნეტავი გამაგებინა,
ყოფნა-კი არის სულისა?
შესვლამც იყოს და გამოსვლა
ედემსა მოციქულისა.

ბაჩანა

◆◆

წკიპურტი

2

ჩვენი „ლხინიკო უქმაძეები“ და იმათი მსხვერპლი.—საზოგადოების მეტ-ხორცნი და მეჭეჭნი.—იმათი უქმი და შესაბრალისი ცხოვრება.—უმიზეზობის მიზეზი და „ძარღვების გახსნა“.—უძღები შვილი და იმისის სიცოცხლის ფასი.—ვისი ბრალია?—მსგავსი მსგავსსა ჰშობს.—სად მივექანებით?—რა წამალი უნდა დავდოთ ჩვენს უბედურებას.

ტფილისის შედარებით მღორე და უფერულს ცხოვრებას ხან-დასმით ისეთი რამ მოულოდნელი, უწესური და უჟამური მოვლენა შეაშფოთებს და შეამღვრ-შეანძრევს ხოლმე, რომ უნებურად შეაფიქრიანებს და შეაღონებს ადამიანს და უნუგეშო, სასოების წარმკვეთს აზრებს აღუძრავს. ერთი ასეთი ამბავი მოხდა 3 ოქტომბერს ვერაზედ: სრულიად უმიზეზოდ მოჰკლეს 40 წლის აზნაური დავით გაბაშვილი, კაცი ყოვლად უწყინარი და უმტერო, სიღარიბითა და სნეულებით დაბეჩავებული.

ადამიანის ძალ-მომრეობით მოკვლა, სხვისის სიცოცხლის მოსწრაფება დიდად შემაძრწუნებელია მაშინაც-კი, როდესაც ასეთი საქციელი გამოწვეულია მოკლულის, სიცოცხლე-მოსწრაფებულის უდიერობით, უსინიდისობითა და ავ-კაცობით. აქამდე გრძნობასა და გონებას ადამიანისას ისიც-კი ვერ შეუფერებია, ავაზაკებს, თულებს რომ არჩობენ მათდა დასასჯელად, საზოგადოებისაგან მავნე წევრთა აღმოსაფხვრელად. ჯერაც ხმა-მაღლა გაისმის ძახილი თვით კანონდებულების წინაამდეგაც-კი, რომ ღვთით ბოძებულის სიცოცხლის წართმევის უფლება არავისა აქვს, რაც უნდა უვარგისი, მავნე და კანონიერობის დამარღვეველი იყოს ეს სიცოცხლეო. თუ ასეა, მაშასადამე, რამდენად უფრო შემაძრწუნებელი, რამდენად უფრო სულისა და გულის აღმაშფოთებელი და შემაზრზენი უნდა იყოს ისეთის კაცის მოკვლა, რომელიც ყოველს ასეთს ცუდს საქციელს მოშორებულია, რომელსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვის არც საზოგადოებისა და არც კერძო კაცის მიმართ და რომლის მოკვლასაც ვერავითარი, იოტის ოდენად შესაწყნარებელი მიზეზიც ვერ გამოეძებნება?!.

იყო ადამიანი, არსებობდა, ჰსარგებლობდა ღვთისაგან მინიჭებულის სიცოცხლით, უვლიდა თავისს მამულსა და სახლს, ჰპატრონობდა წვრილს ძმებს, არავისათვის არა დაუშავებია-რა და აგერ ერთს დღეს...მისცვივდნენ ამ უბედურსა და უწყინარს ადამიანს, იძრეს ხანჯლები და გამოასალმეს წუთი-სოფელს, წაართვეს სიცოცხლე, რომელიც თვითონ არ მიუციათ და რომელსაც ვერც ვერავის მისცემენ, გამოაკლეს სწორსა და ნათესავს, მოაშორეს მამულსა და სახლს, უპატრონოდ დასტოვეს მისი წვრილი ძმები.

რადა? რისთვის? რა უფლებით?.. მაგრამ განა ყოველსავე ამას ჰკითხულობს ღვინით გაბრუებული, დღე ყოველის ქეიფ-ღრეობით გაბრუქული გონება უსაქმურთა ადამიანთა, რომელთაც „ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა—ქალამნად“, რომელნიც სცხოვრობენ როგორც „ფრინველნი ცისანი და თევზნი ზღვისანი“-კი არა, არამედ ვითარცა „მგელნი ტყისანი და ნიანგნი ზღვისანი“?!..

აქ არც არსებობისათვის ბრძოლასა აქვს ადგილი, არც მამულის გამო დავასა და შეხეთქებას, არც „ძველის-ძველს სისხლის აღებას“, არც ტარიელურის სიყვარულით გამწვავებას, არაფერი ისეთი არ არის, რომ ადამიანმა ხელი ჩაავლოს და იმას მოახვიოს ამ შემაძრწუნებელის მკვლელობის მიზეზობა, უფრო ადამიანობის ფარგალის გადამლახველი გარეწრობა და თავიდგან ხელის აღებაა, გონების დაკარგვა და გამხეცებაა, რომელიც არც თავისსა და არც სხვის სიცოცხლეს არად აფასებს *).

---

*) ერთი ლხინიკო უქმაძე დ. ახალ-სენაკსაც გამოსჩენია, რასაც ნათლად ამტკი-

კლები დაუნიშნოს. აზრადა აქვთ წარმოდგენების გამართვა ამ თვის 20-დგან დაიწყონ.

მეშვიდე წევრის ადგილას, ბ-ნ მანსვეტაშვილის ნაცვლად, რომელიც ამ ჟამად ტფილისში არ არის, გამგეობამ კანდიდატი ვ. ი. ჰიჰინაძე მიიწვია.

საკვირველია ჩვენის დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თვით-ნებობა. საგანგებო კრებამ დაადგინა, რომ მანსვეტაშვილი, როგორც ქალაქში არ მცხოვრები და არ მსურველი ამ თანამდებობის აღსრულებისა, შეცდომით არჩეული, მით უმეტეს, რომ არც თითონ განუცხადებია სურვილი წევრობისა და არც პასუხი მოუწერია, როდესაც გამგეობის თავმჯდომარე შეჰკითხებია ორ გზის წერილით, გასულად იქმნას ჩათვლილიო, და გამგეობა-კი, როგორც ამ ახალ ამბიდგან სჩანს, ბ-ნს მანსვეტაშვილს ისევ წევრადა სთვლის. საგანგებო კრებას მეხუთე წევრის არჩევაც-კი უნდოდა, მაგრამ ყუთი არავინ დაიდგა. საყურადღებოა ვიცოდეთ, რომ ამოერჩიათ მეხუთე წევრიც, გამგეობა რას იქმოდა, არ მისცემდა ნებას ამ ახლად არჩეულს წევრს თანამდებობის აღსრულებას თუ?!. ჩვენი გამგეობა, არჩეული საგანგებო კრების მიერ, ვგონებთ თავისს თავს კრებაზედ უმაღლესს დაწესებულებადა სთვლის.

⁂ ვენეციის სახელმწიფო არხივში კვლავ აღმოჩენილა დიდ-ძალი მასალები საქართველოს ისტორიის შესახებ. სხვათა შორის ვრცელი წერილია 1780 წლების ვენეციის ერთის ელჩისა, რომელსაც მეფე ერეკლე უნახავს და იმის შესახებ თავისის მთავრობისთვის წერილებიც გაუგზავნია. ერთს ალაგას ასე სწერს: „მე ვნახე მეფე ერეკლე და მართლაც რომ შესანიშნავი სანახავი ყოფილა; იგი ღირსია გაძლიერებისა და პატივისცემისა“. ყველა ამ მასალების პირი დღეს დიდის სიფრთხილითა და გულ-მოდგინებით იწერება და თავისს დროზედ ცალკე წიგნად გამოვა.

⁂ ახალციხის მაზრაში აღმოჩენილა რამდენიმე სომხური წიგნი, რომლებშიაც ძლიერ ბევრი ცნობა ყოფილა მოთავსებული საქართველოს შესახებ. ყველა ეს წიგნები ვენეციის მხითარისტების ძმობის საკუთრებას შეადგენს თურმე.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა აცნობა ტფილისის გუბერნატორს და ქალაქის მოურავს, რომ ჩემის კანცელარიისათვის ის სადგომი, სადაც ამ ჟამად იგია მოთავსებული, ვიწროაო. პოლიცმეისტერი სთხოვს ქალაქის მოურავს ან დაუყოვნებლივ შეაკეთეთ ეს სადგომი, ანდა ფული გადასდეთ სხვა სადგომის დასაქირავებლადაო.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა 5 ოქტომბერს დაამტკიცა ბაკურიანის სოფლის საზოგადოების განაჩენი იმის შესახებ, რომ ამ სოფელში ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა იქმნას დაარსებული.

⁂ ხვალ, 12 ოქტომბერს, ქალაქის საბჭოს მორიგ კრებაზედ განხილულ იქმნება, სხვათა შორის, შემდეგი საქმეები: გამგეობის მოხსენება 1899 წლის „სტრაქტირო“ გარდასადის რაოდენობის შესახებ, ხმ. ა. ს. ბაბოვის წინადადება ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსების შესახებ, ხმ. ნ. ა.ხუდადოვის განცხადება სახალხო თეატრისათვის მიწის ნაჭრის დათმობის შესახებ და სხვა.

⁂ 16 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლო განიხილავს ა. აბაზაძეს საჩივარს. ბ-ნი აბაზაძე უჩივის ხელ-შეკრულების დარღვევას თავ. კ. ი. მუხრან-ბატონს, რომლის მამულების გამგეთაც ის იყო. აბაზაძე თავ. მუხრან-ბატონს 17 ათასს მანეთს ედავება.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ტფილისის საბალოსნო სკოლის მზრუნველმა ბ ნმა ტიმოფეევმა სთხოვა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს —განმათავისუფლედ მზრუნველის თანამდებობიდგანაო. 8 ოქტომბერს ხსენებულ საზოგადოების საბჭომ, კრებაზედ, დაადგინა — სთხოვოს ბ-ნ ტიმოფეევს დარჩეს სკოლის მზრუნველად.

⁂ ამას წინად ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის საბჭომ განიხილა მომავალის 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვა ამ გზის ტფილისის საქალაქო სადგურისა. ეს სადგური დიდი ხანი არ. არის რაც დაარსეს. შემოსავალი გამოანგარიშებულია 65,165 მან., ხოლო ხარჯი—71,439 მან. სახელმწიფო კანტროლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ სადგურის ასეთი მცირე შემოსავალ-გასავალი აშკარა ჰყოფს, რომ ეს სადგური საჭირო არ არის, ამიტომ იგი უნდა გაუქმდესო.

⁂ ტფილისის ცხენის რკინის გზის დირექტორმა ბ-ნმა რობიმ ამ გზის იჯარით აღების ახალი პირობანი წარუდგინა ქალაქის მოურავს. წინად უსახელო საზოგადოება შემოსავლიდგან ქალაქს ყოველ წლივ 30,000 მანეთს ჰპირდებოდა, ეხლა-კი 32,000 მანეთს ჰპირდება. ამასთან საზოგადოებამ განაცხადა, თანახმა ვარ ის ფული, რაც ქალაქს თხუთმეტის წლის განმავლობაში ერგება, სახელდობრ 500 ათასი მანეთი, პირველადვე ერთად შემოვიტანო, მხოლოდ იმ პირობით, რომ ჯერ ერთი—ეს ფული ქალაქმა იმ ქუჩების მოკირწყვლას მოანდომოს, რომელზედაც ცხენის რკინის გზის ლიანდაგია გაყვანილი და მეორე—ქალაქს ნება არა ჰქონდეს თხუთმეტ წლამდე გამოისყიდოს ცხენის რკინის გზა. ამას გარდა საზოგადოება პირობასა სდებს რკინის გზა ელექტრონით ვაწარმოვოო.

⁂ სოფელ კაცხის (შორაპნის მაზრა) მონასტრის წინამძღვრად იმერეთის სასულიერო საეპარქიო მთავრობას დაუნიშნავს იღუმენი გრიგოლი.

⁂ როგორც ამერიკულის ვაზის საქარის სანერგის ცნობებიდგანა სჩანს, 1896 წელს ამ სანერგიდგან გაუტანიათ 18,800 ცალი ვაზი, 1897 წელს 192,100 ცალი ვაზი, ამ მდგომარე 1898 წელს მარტო გაზაფხულს გაუტანიათ 138,400 ცალი, ხოლო მომავალის 1899 წლისთვის უკვე დაუკვეთიათ 170,000 ცალი ვაზი, ამას გარდა ამ ხნის განმავლობაში უსასყიდლოდ დაარიგეს 13,500 ცალი ვაზი. ამ ჟამად სანერგეში ამერიკული ვაზი იყიდება: ნამყნობი—1000 ცალი 50 მანეთად, უმყნობი -12 მანეთად. ქუთაისის, ოზურგეთის, შორაპნის და სენაკის მაზრებში უკვე 400 ვენახია გაშენებული ამერიკულის ვაზისა.

⁂ ადგილობრივის გაზეთების სიტყვით, მროზინსკის, რომელიც პოდოლის გუბერნიის ქალაქ ვინიცაში ვაჭრობს, აზრადა აქვს გამართოს კავკასიაში შაქრის ქარხანა. ბ-ნმა მროზინსკიმ მიჰმართა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვა მაცნობეთ ადრესი იმ მემამულეთა, რომელთაც შეიძლებოდეს გაუგზავნონ ჭარხლის (რომლიდგანაც შაქარს ამზადებენ) თესლი იმის გამოსაცდელად, თუ ეს მცენარე რამდენად იხეირებს კავკასიაში.

⁂ ვლადიკავკავიდგან სწერენ „ახ. მიმ.“-ს: „სახალხო სკოლების ადგილობრივი დირექტორი თერგის ოლქის პირველ ნაწილის სახალხო სკოლების ინსპექტორს ე. ვ. ჰიჰინაძეს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში ჰგზავნის იმის გასაცნობად და შესასწავლად, თუ რა გვარად არის იქ დაყენებული და როგორი ნაყოფი მოაქვს ესრედ წოდებულ „ბუნებითს მეთოდს“. აშკარაა დირექციას აზრადა აქვს გამოსცადოს ეს მეთოდი თავისს სკოლებში. ეს განზრახვა კი მეტად კარგია, რადგანაც ყველა ახალი საქმე ყოველის მხრივ გაცნობასა და შესწავლას თხოულობს. „ბუნებითი მეთოდი“ ქუთაისისა და ტფილისის პედაგოგებისა ახალს, რასაკვირველია, არაფერს არ წარმოადგენს. ეს მეთოდი დიდი ხანია ცნობილია, რუსეთსა და საზღვარ-გარეთაც ჰხმარობენ, როდესაც უცხო ენას ასწავლიან ბავშვებს, რომელთაც თავიანთი სამშობლო ენა უკვე კარგად აქვთ შესწავლილი. ეს მეთოდი კარგი მანამდეა, ვიდრე ბუნებითია, ხოლო როდესაც ამ საპედაგოგიო დედა აზრს გადაუხვევს და სამშობლო ენას უარ-ჰყოფს, მაშინ იგი მახინჯდება. საფრანგეთის საუკეთესო პედაგოგები ასეთის თვალით უყურებენ ამ მეთოდს, რომელიც ნემენცების მიერ ელზასის ზოგიერთ სკოლებში იქმნა შემოღებული“.

⁂ „კავკას“-ს სწერენ ახალციხის მაზრის სოფელ ახაშენიდგან, რომ აქ ბეითალმა ტიმოფეევმა საქონლის ჭირი აღმოაჩინაო. ამ დღეებში ტიმოფეევი პოლიციის ბოქაულთან ერთად მთელ მაზრას შემოივლის იმის გამოსარკვევად, რამდენად არის გავრცელებული ეს ჭირი ხსენებულ მაზრაში.

⁂ იმავე გაზეთს ატყობინებენ ტფილისის მაზრის ყარაიაზიდგან, რომ ამას წინად სოფელ კესალოს მცხოვრებლებსა ეიუბ ახმედ-ოღლის, ველი კასუმ-ოღლისა და ყარაგიოზ-მოლლა იბრაგიმ-ოღლისა და უცნობ ქართველ მწყემსებს შორის, საძოვრის ადგილის გამო ჩხუბი მოხდაო. ჩხუბის დროს ერთმა ქართველმა თოფით მოჰკლა ყარაგიოზ-მოლლა-იბრაგიმ ოღლიო.

⁂ „ახ. მიმ“. პეტერბურგიდგან სწერენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საბეითალო კომიტეტის თავმჯდომარის პროფესორის ვორონცოვის თავმჯდომარეობით შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელიც ტფილისში იქმნება გამოგზავნილი საქონლის ჭირის წინააღმდეგ ნაღონ ღონისძიებათა მეცნიერულად გამოსაკვლევადაო. კომისიის წევრებად არიან რამდენიმე პროფესორი და საბეითალო მეცნიერების მაგისტრი. ტფილისში კომისია 15 ოქტომბერს უნდა ჩამოვიდეს. კომისიის წევრებადვე დანიშნული იქმნებიან ტფილისის საგუბერნიო ბეითალი და რამდენიმე სამხედრო ბეითლიც.

⁂ გაზ. „კავკას“-ის რედაქციამ გაუგზავნა ბოდბის მონასტრის წინამძღვარს ბ-ნ ვ—ს მიერ შეწირული 25 მანეთი ამ მონასტრის ძველის მხატვრობის აღსადგენად.

⁂ გაზ. „მშაკ“ სწერენ ზაქათალიდგან, რომ აქ ადგილობრივის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის მეცადინეობით კრება ჰქონდათ ამ სასწავლებლის მოსწავლეთა დედმამასაო. კრებამ დაადგინა დაარსოს ხსენებულ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება.

⁂ ქუთაისი. აქ ჩამოვიდა ჩვენი საზოგადოების მიერ კარგად ცნობილი ბ ნი ფილიმონ ქორიძე. როგორც ვიცით, ბ-ნ ქორიძემ ნოტებზე გა-

---

მაგრამ ვინ არიან ამის მომქმედნი, რა მოხელენი? ვინაობა რა საჭიროა, სახელი მათი ლხინიკოა და გვარი უქმაძე. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებას ბევრი ჰყავს ამ გვარი წევრი: ლხინიკო უქმაძე სწავლა-განათლებით საარშიყო ბარათების კითხვას არ გასცილებია, ცხოვრებისათვის ყოვლად მოუმზადებელია, აღზრდის კეთილ-მომქმედს გავლენას აცილებულია, სცოცხლობს უქმად, უსაქმურად, სხვის ოფლსა და მონაგარსა ჰფლანგავს, თავისს მახლობელსა და ნათესავს მჭამელ მუწუკად გადაჰქცევია.

შეჰხედავ და გაგაოცებს იგი: ღმერთს არც გონება დაუკლია იმისათვის, არც გარეგნობა, არც ძალ-ღონე, თითქოს შთამომავლობაც-კი იმად უწყობს ხელს, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრი, რიგიანი ადამიანი დამდგარიყო. თითქოს ბუნებით ნიჭსაც-კი არ არის მოკლებული, რადგან უსაქმურობის მოსაქმიანებაში დიდს მოხერხებასა და უნარს იჩენს. ეს ნიჭი რომ სხვა რამ სასარგებლო საქმეს მოჰხმარებოდა, უეჭველია კეთილს ნაყოფს გამოიღებდა, მაგრამ იგი მეტ-ხორცია მაინც, მეჭეჭია იმ საზოგადოებისა, რომელშიაც სცხოვრობს და რომლის შვილადაც იწოდება, მეჭეჭი მაწყინარი, მავნებელი, ბოროტის თვისებისა, სხეულის მომწამვლელ-მომშხამველი. არც გულკეთილობას არის მოკლებული, თითქოს ყოველი ღირსება და თვისება ადამიანისა მოეპოვება, მაგრამ ცხოვრებისათვის მოუმზადებელია, აღუზრდელია, უსაქმურია და ესა ჰხდის და ჰქმნის მეტ-ხორცად, სხეულის მომწამვლელ მეჭეჭად.

აბა მიიხედ მოიხედეთ, მკითხველო, თქვენ ნაცნობთა შორის, რამდენს შეხვდებით ლხინიკო უქმაძეს. ჩოხა-ახალუხით გამოწყობილი, ხმალ ხანჯლით შემკული დადის მთელი დღე და სადაც ერდო მაღალია, ის იმისი მაყარია. ადგება დილით და პირველი იმისი საზრუნავი და საფიქრებელი ეს არის: ,,სად წავიდე? რა გავაკეთო? გული რას გავაყოლო? დრო რას შევაჭმევინო?“ საქმის კაცს, ცხოვრების ავ-კარგიანობაში ჩათრეულს, ასეთი ფიქრი თავისს დღეში არ მოუვა. სიცოცხლე ადამიანისა ისეთი ხან-მოკლეა, დრო ისე ძვირი, რომ ერთის უსაქმოდ გაყიალება და მეორის უბრალოდ გატიალება სათაკილოა და სამარცხვინო.

მაშ რას აკეთებს ლხინიკო უქმაძე? არაფერს. ადგომისათანავე ცივის წყლით გაიგრილებს წინა ღამის ლხინითა და ქეიფით გაბრუებულს თავს, მოიკოხტავებს, გამოვა გარეთ და ეძებს მაღალს ერდოს, რომ მაყრობა გაუწიოს. ხან ერთს სასტუმროში შეჰყოფს თავს, ხან მეორე სამიკიტნოში, რომ ჰნახოს, ვინა ჰლხინობს, ვინა ჰქეიფობსო, და მიეტმასნოს, გვერდში ამოუჯდეს, თავისი ხმაც შეუერთოს იმისს ჰართალალოსა და ვართალალოს. თუ ფული აქვს, მამა-პაპის ჭირ-ვარამით მონაგები, ან დაუსჯელის უკანონობით მოპოვებული,—თითონვე გააჩენს და გააჩაღებს გულის გასაყოლიებელს, დროს შთანმთქმელს ლხინსა და ქეიფს, მაგრამ თუ უფულენციის სენი აწუხებს, რაც, რასაკვირველია, ხშირი სტუმარია იმისის ჯიბისა,—ვაი იმისი ბრალი. სწორედ შესაბრალისი სანახავია ამ დროს ლხინიკო, მეტადრე დღე, როცა ყველას თავისი საზრუნავი აქვს და სალხინოდ არავისა სცალიან. დადის სასახლის ქუჩის ქვაფენილზედ, ან კიდევ „პურ-ღვინო“-ს სასტუმროს წინ და აქეთ-იქით იხედება, უაზროდ თვალს აცეცებს ხალხს, რომელიც არსებობისათვის ბრძოლაში მიდის და მოდის ფეხ-აჩქარებით. თუ რომელიმე უსაქმური კნეინა დაინახა, სალომე იქნება იგი, თუ ელისაბედი, სულ ერთია, აედევნება და მისდევს სიტყვების ულაზათო ჩმახვით, თითონაც არ იცის სად, რად, როდემდის!..

ერთი შესანიშნავი თვისება ლხინიკო უქმაძისა ის არის, რომ თუ დაგელაპარაკა, საითაც წახვალ, იქით წამოგყვება, რადგან იმისთვის მარჯვნივ და მარცხნივ სულ ერთია, არც ერთს მხარესა აქვს საქმე და არც მეორე მხარეს. დადის და არ იცის, რად, სვამს, ღვინის დასალევად-კი არა, დრო-ჟამის დასალევად, რადგან უსაქმურობა აწუხებს, უმოქმედობა ჰქანცავს, უზრუნველობა გულს უმწუხარებს. ხშირად ჩხუბის გუნებაზედაც არის, იმიტომ-კი არა, რომ ჯავრი სჭირდეს ვისიმე, ან მაგიერის გარდახდა უნდოდეს, ან მტერი ეგულებოდეს, არა, იმიტომ-რომ ჭამითა და ძალით მოპოვებული ძალ-ღონე მოანდომოს რასმე, „ძარღვები გაიხსნას“, როგორც თითონ იტყვის ხოლმე. ამავე მიზეზით ანგრევს და ამტვრევს იგი სასტუმროებს, სამიკიტნოებს, იმ ადგილებს, სადაც თითონვე ათენებს და აღამებს.

ყოველ იმის დუხჭირ საქციელისა და მოქმედების მამა უვიცობაა და დედა უსაქმურობა. ლხინიაო უქმაძეს სიცოცხლე არად უღირს, რადგან ამ ქვეყნად არას აფასებს. მიზეზი ყოველის ბიწიერებისა უქმობაა

ცებს ახალ-სენაკიდგან მოწერილი ამბავი, დაბეჭდილი დღევანდელს „ივერია“-ში.

ჩიორა

დაილო ქართული (გურული კილო) საეკკლესიო გალობა და მრავალი საერო სიმღერა. ბ-ნ კორიძეს აზრად აქვს ქუთაისში მსურველთ ასწავლოს საზოგადოდ გალობის თეორია და ქართულ-რუსულ-ევროპიული სიმღერები.

⁂ ახალ-სენაკი. 8 ოქტომბერს ახალ-სენაკიდგან სამის ვერსის მანძილზედ ს. ნოსირში ერთი სამწუხარო და გულ-საკლავი ამბავი მოხდა. სამიკიტნოში ღვინოს შეექცეოდნენ თავ. გ. ჩ—ვანი და სახალხო ლექსების მწერალი ანდრო უჩამეიშვილი. სადილის შემდეგ თ. გ. ჩი—ვანმა სიტყვიერად შეურაცხება მიაყენა ანდრო უჩამეიშვილს. ბოლოს თ. გ. ჩი—ვანმა უბრძანა,—დაიჩოქეო, უჩამეიშვილმა თავ-ხედს თავადს არ აუსრულა ბრძანება. ამიტომ გ. ჩი—ვანმა რევოლვერით სამ ალაგას დაჰრა ა. უჩა—ლი, რომელმაც დიდის ტანჯვა-წვალების შემდეგ მეორე დღეს სული განუტევა. ამ ამბავმა დიდად შეაწუხა უცნობი და ნაცნობი განსვენებულის უჩამეიშვილისა, რომელიც ერთი თავ-მდაბალი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი იყო. დამნაშავე გაიქცა და ჯერაც არ უპოვნიათ. გამოძიება სწარმოებს.

9 ოქტომბერს ამოსავლეთის დიდი ქარი ამოვარდა და ჯერ მოუწეველი ჰირნახული მიწასთან გაასწორა. ამ ქარმა კალმით აუწერელი ზარალი მისცა მხვნელ-მთესველთ.

⁂ დ. გუდაუთი. სწორედ ათი დღეა, რაც აქეთ გამუდმებით სწვიმს. ამ წვიმამ ძალიან დააზიანა აქ მოსავალი. წრეულს გუდაუთის ნაწილში თამბაქოს მოსავალი საუცხოვო იყო, მხოლოდ ამ უკანასკნელმა წვიმებმა მეთანბაქოეთ საქმე გაუჭირათ. ღვინო ჩვენში წრეულს ძალიან ნაკლებია, სამაგიეროდ, როგორც ამბობენ, რაც დაგვიდგება, კარგი იქნებაო.

⁂ გაზ. „ტფ. ფ.“-ის სიტყვით, ქალაქის მიერ გაგზავნილმა კაცებმა ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე იყიდეს ცხენის რკინის გზისათვის 116 ცხენი. თითო ცხენი ორთა შუა რიცხვით 75 მანეთი დასჯდომიათ. ამას გარდა კომისიას ამ საქმისათვის ტფილისში 70 ცხენი შეუძენია.

⁂ გუშინ, 10 ოქტომბერს, კრებაზედ ქალაქის გამგეობამ კენჭი უყარა ქალაქის ორ განთავისუფლებულ სტიპენდიას ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიაში. სტიპენდიანტებად არჩეულ იქმნენ პეტროვისა და მარიამ ბაზიერიშვილისა.

◆

წერილი ბათუმიდგან

მოახლოვდა საქალაქო არჩევნების დრო. ამომრჩეველთა საბოლოო სია დამტკიცებულია და გამოცხადებული. როგორც თვით ბათუმის მცხოვრებლები, ისე ეს სიაც ჭრელია ეროვნების მხრით. ამომრჩევლებს შეადგენენ: ქართველები და სომხები (რიცხვით თითქმის თანასწორნი; ქართველთა რიცხვი ცოტა მეტია), ბერძნები, მაჰმადიანი-ქართველები და რუსები, ანუ, უკეთ ვთქვათ, დანარჩენის ეროვნების ხალხი. სულ ამომრჩეველთა რიცხვი 442—ია. ამათგან 150—დის მარტო ქართველებია (მართლმადიდებელნი და კათოლიკენი), მაჰმადიან ქართველებს გარდა, რომელთა რიცხვი 30—დის იქნება. ძნელი სათქმელია, თუ რა ხასიათის საბჭო იქმნება ეროვნების მხრივ ბათუმის მომავალი საბჭო. ქართველობისა და სომხობის ძალა, როგორც ვთქვი, თითქმის თანასწორია. ჩვენს მეთაურებს სრული იმედი აქვთ, რომ გაიმარჯვებენ. როგორც მეთაურებში, ისე საზოგადოდ ქართველებს შორის ჯერ საქებური სიფრთხილე, სიმშვიდე და ერთობაა. ზოგიერთის ვაჟბატონის უქმს მითქმა-მოთქმასა, ჭორს და ჭეშ-ჭეშობას თუ ყურადღებას არ მივაქცევთ, უფრო ჩუმი, დაწყნარებული, შეგნებული მზადება წარმოუდგენელია. სწორედ სასიამოვნოა, როცა ჰხედავ, რომ არაა საჭირო გადამეტებული სიტყვა და ყაყანი,—ისეც ყველას კარგად ესმის თავისი წმიდა მოვალეობა,

მადლობა ღმერთს, ამ ოთხის წლის განმავლობაში ყველაფერი იმდენად გამოირკვა, იმდენად გაიგო საზოგადოებამ თავისი საგანი, იცნო მტერი და მოყვარე, იცნო, თუ ვინ არის საზოგადოების ნამდვილი მსახური და ვინ ცალიერი შურის გუდა, გულ-გონება გალაღებული კუდაბზიკა, რომ ახლა ამაოა ყოველი ცუდი ცდა და საზოგადოების გზა-კვალის არევა. ამ ოთხმა წელიწადმა საკმაოდ იმუშავა, რომ გამოფხიზლებულიყო ბათუმის ქართველობა და გულ-დანდობით, იმდენად გაჰყოლოდა გამოცდილ, გულ-გაუტეხელ, საქმის ერთგულ მეთაურებს. ახლა ისე ადვილად ვეღარ გაიტაცებს ამას ცილის-წამება, ჭორი და შური, უღირსი ინტრიგა. სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მეთაურები, რომელთაც ასე ბევრი უსამართლო დამცირება გამოიარეს უანგარო სამსახურისათვის, ჩვეულებრივ არ შეუდრკებიან ზოგის ლოლიხანა გაცვეთილს ყბედობას, განაგრძობენ თავისს დიად ეკლიანს და სასიქადულო გზას და გამარჯვებით გაიტანენ ღელოს, როგორც უწინაც გაიტანეს, მომავალ არჩევნებშიაც და სხვა ჩვენს საზოგადო საქმეშიაც.

ზოგი, ვითარცა ბრძენი, რაღა თქმა უნდა, არჩევს მედიდურად შორით სეირის ცქერას, არ კადრულობს, ვერ ეხერხება ომის ცეცხლში ჩარევა! მერე-კი, როცა საქმე გაჩარხული იქნება და ახლანდელ მუშაკებს (ისევ იმათ, ვისაც მუდამ აწევს აქ კისერზედ ყოველი ჩვენი საზოგადო საქმე) დამარცხებული ბანკი, ჩვენი შემოხიზნული მტერ-მოყვრები, და მთელი ცა და ქვეყანა აუყაყანდება (რადგან მებრძოლს ყოველთვის მტერიც ჰყავს), ესენიც, ბრძნულად შორს გამდგარნი, ისარგებლებენ გარემოებით, რომ ბრძნულადვე დასკუპდნენ თაროზედ და იმათვე უთხარონ ძირი, იმათვე უგდონ მამაცურად შავები, ვისის წყალობითაც ერგოთ ადგილი. ესეც მოსალოდნელია. ჯერ კი სუფევს სრული და მოსაწონი ერთობა. გამარჯვება თითქმის უეჭველია, რადგან აღარა აქვს გასავალი იმათს სიტყვასა და მოქმედებას, რომელთაგანაც მოსალოდნელია საქმის მხოლოდ არევა და შფოთი.

◆

წერილი დ. ოჩამჩირედგან.

4 ოქტომბერი.

მგონია საქართველოს არც ერთს სხვა ნაწილში წოდების გარჩევა ისეთი მძლავრი და თავის ძალაში არ არის, როგორც აქ—აფხაზეთშია. აფხაზობა დღესაც არა ოფიციალურად, შინაურულად, განიყოფება ხუთ წოდებად, რომელთა არევა, აფხაზის აზრით, მომაკვდინებელი ცოდვაა, გარდა ქვემო ჩამოთვლილ პირველ ორ წოდებისა, რომელნიც ერთმანეთს, მაინც და მაინც, არ ეუბნებიან უარს, აზნაური თავადიშვილის ქალს თხოულობს, ან აზნაურის ქალიშვილი თავადიშვილს მიჰყვება ცოლად. აი ეს წოდებანიც: 1) ათავად (თავადი), 2) აამისთა (აზნაური), 3) აშნაყმა (მინაყმა?), შუა წოდებაა გლეხსა და აზნაურს შუა, 4) ანხავუ (მცხოვრები გლეხი) და 5) ატვ, ანუ ახუუვა (ყმა). თუმცა მთავრობამ უკანასკნელი სამი წოდება შეაერთა და მონათლა „крестьянинъ“-ად, მაგრამ აფხაზს ეს მაინც არ სჯერა და ყოველს საშუალებას ჰხმარობს ზევითი, უფროსი წოდება არ შეერიოს ქვევითს, უმცროსს წოდებას. ამისთვის კაცის კვლასაც არ დაერიდება, ოღონდ მისს წოდებას, გვარს ჩირქი ნუ მოეცხება. ამ გარემოებას-კი აფხაზის ცხოვრებაში დიდი ზარალი მოაქვს, მისს წინ მსვლელობას აფერხებს, აჩერებს. მოვიყვან რამდენსამე მაგალითს, რომ მკითხველს, შეძლებისა დაგვარად, ნათლად წარუდგინო აფხაზთა წოდებების ერთ-ურთ შორისი დამოკიდებულება.

ამ გაზაფხულზედ სოფელ ტამშში მცხოვრებს აშნაყმას, გვარად გაბლიას, მოეწონა და შეუყვარდა, თავისის განსაცვიფრებელის სილამაზის გამო, მეზობელ გლეხის ანჯას ქალიშვილი და, იცოდა რა, რომ ამ მეუღლურის კავშირის წინააღმდეგნი იქნებოდნენ როგორც თავისნი ნათესავნი, აგრეთვე ქალისა, მოიტაცა და შეირთო. აშნაყმა გაბლიებმა ეს იუკადრისეს, როგორ თუ გლეხის ქალი შეირთო ცოლადო და მთელი გვარი გამოლანძღაო, ჩირქი მოსცხოვო, და გვარის გამლანძღველ გაბლიას წინადადება მისცეს, ან ცოლს გაეყარეო, ანა და ჩვენის გვარისა, ჩვენის ძმობისაგან ხელი აიღეო. ამან ყურადღება არ მიაქცია იმათს მუქარას. მაშინ გაბლიებმა შეჰკრეს პირობა ერთმანერთს შორის, არავინ გვარის გამლანძღველი გაბლია სახლში არ მიიღოს, მოკვდეს-არ იტიროს, ლხინში თუ ჭირში არ წაეკაროს, არ დაელაპარაკოს და სხვა და სხვა. საცოდავს, ყოვლად უდანაშაულო ქალსაც დაუწყეს დევნა და ლანძღვა-გინება, ვითარცა მიზეზს გვარის გამლანძღვისა. საცოდავი განრისხებული გაბლია, როგორც მკვდარი, ისე დადიოდა თურმე. მოწმეების ჩვენებით, „ნაცნობი იმას ვეღარ იცნობდაო, სულიერად ძალიან იტანჯებოდაო“. აქ ადვილი არაა ცოლს კაცი გაეყაროს; აფხაზის ადათით, ცოლის გაყრა სიკვდილით შეიძლება. როგორც საქმიდგანა სჩანს, გაბლიამ სიყვარულს, საყვარელ არსებას ისევ გვარი ამჯობინა და საცოდავი ქალი ივნისის პირველ რიცხვებში თავისსავე ფაცხაში ჩამომრჩვალი ნახეს. პოლიციამ მაშინვე დააპატიმრა ქმარი, ვითარცა ცოლის მკვლელი, და საქმე, სადაც ჯერ არს, სწარმოებს. ამ უბედურებაში საქმე ის-კი არ არის, ქალმა თითონ დაირჩო თავი, თუ ქმარმა დაარჩო, ორსავე შემთხვევაში მკვლელია უგუნური ჩვეულება და ამ ჩვეულების დამცველნი, დარაჯნი. ასე თუ ისე, მშვენიერი აფხაზის ასული უდროო-დროს წუთი-სოფელს გამოასალმეს.

მეორე ამის მსგავსი შემთხვევა მოხდა ამ გაზაფხულზედ სოფელ აძიბჟში. ერთს გლეხის ქალიშვილს შეუყვარდა ნაყმევის შვილი, მშვენიერი ვაჟ-კაცი აფხაზი და მალულად ცოლად წაჰყვა. არ ვიცი, ქალის ჭირისუფლებსიმდენი გამბედაობა არ ჰქონდათ თუ სხვა მოფიქრებით, კაცის კვლას (სიძის მოკვლას) და სხვა გვარ შურისძიებას თავი დაანებეს და ეკკლესიაში ერთმანეთს შეჰფიცეს, თავისს სიცოცხლეში ჩვენი შემრცხვენელი ქალი არც სახლში მიუშვათ და არცა ვნახოთო, რომ მოკვდეს არ ვიტიროთო; და ჩვენს ტირილზედაც ნუ გავატარებთო. შეიძლება მკითხველმა გაიკვირვოს, მღვდელმა ამისთანა უგუნურის ფიცის ნება როგორ მისცაო, მეც მიკვირს, მაგრამ ასე კია! ამას არ დასჯერდნენ ქალის ჭირისუფალნი და მიჰმართეს თავისთანა წმინდა გლეხებს და მოახსენეს: „ჩვენმა ქალიშვილმა ასე შეგვარცხვინა და ეს შერცხვენა თქვენც მიგაჩნიათ თქვენის თავის შერცხვენად, ვითარცა ჩვენი ძმები და ამხანაგები წოდებით, თუ არაო?“ გლეხთა წოდებამ ეს თავის შეურაცხყოფად მიიღო და დაადგინა შინაური განაჩენი: მთელის წოდების შე-

---

და ისიც ამ უქმობის მსხვერპლია. ვოლტერი ერთს თავისს თხზულებაში ამბობს, რომ დიდნი დანაშაულობანი თითქმის ყოველთვის უვიცთა და უსაქმურთა კაცთა მიერ არის ჩადენილიო. მაშ რა არის მიზეზი საბრალო დავით გაბაშვილის მოკვლისა, თუ არ ეს უვიცობა და უსაქმურობა დუხჭირად აღზრდილთა, უსაქმურობით გადალეულთა კაცთა, ამ თავისის ოჯახისა, საზოგადოებისა და ერის უძლებთა შვილთა?!.

უბედურებაა ასეთის უძლების შვილის დაბადება იმ ერისათვის, რომელსაც იგი ეკუთვნის. იგი სათვალავში ითვლება სახელით და საზრავით-კი მისი მეტი ბარგია, მეტი ხორცი. ამ მეტ-ხორცობასაც არა ჰკმარობს და სიცოცხლეს უსწრაფებს საზოგადოების სხვა წევრს; მაშასადამე, ერთი-ორად მეტი ვნება მოაქვს, ჯერ თავისის დაბადებით და მერე—სხვისის სიცოცხლის მოსწრაფებით. ამას გარდა, მთელი იმისი ცხოვრებაც მავნებელია, რადგან ბევრს ახარბებს მისი დაუდევნელი, უზრუნველი ცხოვრება. უგუნურს კაცს, რომელსაც ჭკუა თვალებში აქვს და არა თავში, სანატრელად მიაჩნია ასეთი ცხოვრება და ბევრი გამოუცდელი ჭაბუკი ჰბაძავს კიდეც. არ იციან, რომ ასეთის უძლების ჭაბუკის მთელს სიცოცხლეს დაკუტებულ და დაუძლურებულ ბებრუხანას ის დრო სჯობია, რომელსაც იგი ერთის წყვილის წინდის ქსოვას მოანდომებს, ვინაიდგან ეს ერთი წყვილი წინდა სიცივისაგან მაინც დაიფარავს ვისმე, სარგებლობას მოუტანს, და მთელი ცხოვრება ამ ძალ-ღონით, სიცოცხლით სავსე ვაჟბატონისა-კი, დაბადებიდგან სიკვდილამდე, ერთი გაჭიმული უსარგებლობაა, თუ ვნება არა.

როგორც დიდ-ბუნებოვანთა და შესანიშნავ კაცთა დაბადება აღონიერებს და აძლიერებს ერს, ისე ასეთ უძლებთა წევრთა ყოლა აუძლურებს და ასუსტებს. ვაი იმ საზოგადოებასა და ერს, რომელსაც ამისთანა წევრი ბევრი ჰყავს და ნეტარება მას, რომელსაც სულ არ მოეპოვება.

აქ უძლები წევრი-კი არ არის დამნაშავე თვისის უძლებობისა, არამედ ოჯახი, საზოგადოება და ერი, რომლის შვილიც იგია. შეგნებული საზოგადოება ასეთ უძლებთ დაჰგმობს, ახლოს არ მიიკარებს, თვისგან განშორებით დასჯის, ამითი ასეთის ცხოვრების ხალისს დაუკარგავს თვით გზა-კვალ დაბნეულს წევრს და სხვასაც მისის წაბაძვის მაგალითს მოუსპობს. კანონიც-კი ნებას აძლევს, როგორც თავად-აზნაურობას, ისე მოქალაქობასა და გლეხობას, ვითარცა კერძო საზოგადოებათ, განიშორონ თავისაგან მავნე და უსარგებლო წევრი, განაჩენი დაადგინონ და დასაჯონ იგი და ან მთავრობასა სთხოვონ მისი სრულიად გაძევება, ექსორიის ქმნა.

ასე-კი იქცევა ჩვენი საზოგადოება? პირ-იქით, თუ დასწრებიხართ როდისმე ჩვენის თავად-აზნაურობისა და სხვა საზოგადოებათა კრებათ, გენახვებათ, რომ სთხოვენ ხოლმე მთავრობას, დაგვიბრუნეთ გაძევებული, გვაჩუქეთ მისი დანაშაულიო. რას ჰნიშნავს ასეთი თხოვნა-განაჩენი, თუ არ იმას, რომ მისნი მთხოვნელ-დამდგენელნი მავნე, უსარგებლო კაცს თავისთან ყოფნის ღირსად და, მაშასადამე, თავისს მსგავსად სთვლიან. „მსგავსი მსგავსსა ჰშობსო“, ნათქვამია, და ეს უძლებნი წევრნიც ღვიძლნი შვილნი არიან ჩვენის უკუღმართის ცხოვრებისა. მაშასადამე, აქ ივანე და პეტრე კი არ არის დამნაშავე, არამედ ის საზოგადოება, რომელიც აჩენს ასეთს უძლებს შვილს, ჰზრდის, თავისს შორის ბინასა და თავ-საფარს აძლევს, თავისთან აზოგინებს და ამით თითქოს დასტურსა სცემს, მოსაწონადა ჰხადის იმისს უძლებობას.

ზემოდ დასახელებულს ამბავში მარტო მოკლული-კი არ არის სატრელი და საგლოვი, არამედ მკვლელნიც, რომელნიც თავისის უსაქმურობისა, აღუზრდელობისა და ცხოვრებისათვის მოუმზადებლობის მსხვერპლნი არიან, უფრო უმეტესს-კი, ვიმეორებთ, ის საზოგადოება, რომელიც ასეთ წევრთ აჩენს და იშვნევს, რომელსაც ნიადაგი აქვს ასეთ წევრთა გასაჩენად და არა სცდილობს ამ ნიადაგის აღმოფხვრას, ამ ეკალნარის ძირიანად ამოგდებას და სასარგებლოს დარგვას. ასეთი საზოგადოება უკუღმართობის მთაზედ მიჰგორავს თავ-დაქანებული და წინ უძევს უფსკრული, სადაც სრულიად აღგვა მოელის დედამიწის ზურგიდგან, თუ თავი არ შეიმაგრა სადმე და თავისს უბედურებას წამალი რამ არ გამოუნახა.

ასეთი წამალი-კი წესიერი აღზრდა-განათლებაა, პატივის-ცემაა მშრომელთა მიმართ და გმობა, განდევნა და გაძევება უსაქმურობის მოყვარულთა. ვიდრე საზოგადოება ერთ გვარის დაუდევნელობით მოეკიდება სიცოცხლის უქმად დამლევთა და მშრომელთ, იმ დრომდე ზემოხსენებულისთანა სამწუხარო და სავაგლახო შემთხვევა კიდევ ბევრჯელ შეაშფოთებს ჩვენს ისეც სიმწარით სავსე ცხოვრებას.

ჩიორა

◆

მარცხვენელი ნაყმევის შვილი არავითარს საზოგადო ყრილობაში, ლხინსა თუ ჭირში, არავინ არ მიიღოსო და დაევალოს თავის ადგილ-მამულიდგან აიბარგოს და სადმე შორს ეწერში დასახლდესო; ვინც წოდებას პატივსა სცემს, იმან თავის სახლში არ მიიღოს და სხვა. ეს ბერძნების „ასტრაკიზმის“ განმეორება არ არის აფხაზეთში?

აი, ამისთანა ცხოვრების წინსვლის შემფერხებელ და უკან დამწევს ჩვეულებებს უნდა მიაქციონ სასტიკი ყურადღება ჩვენის ცხოვრების გამგეთ და ყოველი ღონე იღონონ მისის ცხოვრებიდგან აღმოსაფხვრელად, შესასუსტებლად მაინც. გარნა, ჩვენდა საუბედუროდ, არავინ ამის გამო ყურსაც არ იბერტყავს!

ჩვენში ეხლა ქურდობის ხსენებაც არ არის სამურზაყანოს ნაწილის უფროსის წყალობით. ბ-ნმა ლისოვსკიმ (სამურზაყანოს უფროსმა) ნათლად დაგვანახვა, რომ თუ პოლიციამ მოინდომა, ქურდობის მოსპობა ადვილი ყოფილა. მართლაც, პოეტის არ იყოს, „იქ რა უნდა ავაზაკებს, სადაც არის პოლიცია?“

წრეულს ჩვენკენ სიმინდს არა უშავს-რა, ხოლო ღვინის მოსავალი ძალიან ნაკლებია.

7 ენკენისთვეს სოფ. აძიბჟაში საშინელი სეტყვა მოვიდა და მოსავალი ძლიერ გააფუჭა.

თვით ჩვენის დაბისა რა მოგახსენოთ: უპატრონოდაა დაგდებული! არავინ მისთვის არ ზრუნავს და დაბაში საშინელი უსუფთაობაა: ქუჩა ქუჩას არა ჰგავს, „ბულვარი“ — „ბულვარს“ და სხვა. შეიძლება იკითხოთ, რას აკეთებენო ოჩამჩირელნი? რასა და ან თავისს კერძო საქმეებს, ან ერთმანეთის ცილის წამებასა და ბეზღობაში არიან.

აქ ახლად გადმოიყვანეს ბლაღოჩინად მამა დიმიტრი მარღანია. მამა დიმიტრი მარღანია წარმომადგენელია იმ ახალგაზდა აფხაზთა ჯგუფისა, რომელნიც სულითა და გულით მოწადინებულნი არიან არ მოისპოს ძველებური კავშირი აფხაზთა და ქართველთა შორის. იმედია, მამა დიმიტრი თავისს ძალ-ღონეს არ დაიშურებს და ემსახურება ოჩამჩირელთა კეთილდღეობას. აქ იმდენი გასაკეთებელი საქმეა, რომ ჩამოთვლაც მეჭირვება. აი, ამ საქმეებს, სხვა ჩვენის დაბის გონიერ წარმომადგენლებთან ერთად, მოჰკიდებს მ. მარღანია ხელს და სასურველად დაასრულებს, რამდენადაც ეს იმისაგან იქნება დამოკიდებული და შეძლება ექნება.

ჰამუთ-ბეი

◆ ◆

რუსეთი

—

პეტერბურგის ზოგიერთა ქარხნის პატრონთ აზრადა აქვთ დააარსონ პეტერბურგში „მუშათა შორის სწავლა-განათლების გამავრცელებელი საზოგადოება“. დამაარსებელთ უკვე შეუმუშავებიათ წესდების პროექტი, რომლის ძალითაც საზოგადოება გამართავს მუშათა კრებებს, წაიკითხავს ლექციებს, დააარსებს წიგნთსაცავებს, სამკითხველოებს და სხვა. საზოგადოების წევრად მიიღებენ ხელოსანთა და ქარხნების მუშებს. წევრმა თვეში 30 კაპ. უნდა გარდაიხადოს. საზოგადოებას ექნება აგრეთვე საკუთარი შემნახველ-გამსესხებელი კასსაც.

— გაზეთების სიტყვით, პსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ რუსეთის იმპერიაში ხელის მოწერა იქმნას გამართული. შეკრებილის ფულით აზრადა აქვთ შეიძინონ სოფ. მიხაილოვკაში ის მამული, რომელიც რუსეთის შესანიშნავ პოეტს ა. ს. პუშკინს ეკუთვნოდა და გამართონ ამ მამულში, პოეტის სახსოვრად, თავ-შესაფარი მოხუცებულ მწერალთა და არტისტთათვის.

◆ ◆

უცხოეთი

—

საფრანგეთი. დიდი ხანია, რაც საფრანგეთი ასეთს განსაცდელში არა ყოფილა, როგორც ეხლაა. დაუსრულებელი დრეიფუსის საქმე ისე აიწეწ-დაიწეწა, რომ კაცს ვერა გაუგია-რა, ვინ მტყუანია და ვინ მართალი, როდის დასრულდება იგი და ან რა შედეგი მოჰყვება. ამ საქმემ ბევრი ისეთი კაცი წაითრია, რომელნიც აქამდის სათავეში ედგნენ საფრანგეთს და სამშობლოს ნუგეშს წარმოადგენდნენ; ხოლო დღეს-კი ამავე კაცებს ქვეყნის მოღალატედ სთვლიან და იმასაც-კი აბრალებენ, როგორც, მაგალითად, გენერლებს ბუადერფს, ცურლინდენს და პელიეს, რომ საფრანგეთის ეხლანდელ წეს-წყობილების წინააღმდეგ შეთქმულობა აქვთო. ამ დროსვე აიწეწა ჩინეთის საქმეები და საფრანგეთს ჯერაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია იქ, მაშინ როდესაც სხვა სახელმწიფოებმა და მათ შორის იაპონიამაც ჯარის კაცებიც-კი გაჰგზავნეს პეკინში. ეხლა მოინდომა გერმანიამ ოსმალეთში მცხოვრებ გერმანიის ქვეშევრდომ კათოლიკეებს თითონვე გაუწიოს მფარველობა, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ ქვეყნებში მყოფ ყველა კათოლიკეს მფარველად დღემდე მხოლოდ საფრანგეთი ითვლებოდა. ეხლა გამოტყვრა ფაშოდის საქმეც, რომელმაც, ვინ იცის, იქნებ ომიც-კი გამოიწვიოს საფრანგეთისა და ინგლისის შორის, რასაც გუშინდელი დეპეშა ჰმოწმობს.

ეს უკანასკნელი საქმე მართლაც მომეტებულად საყურადღებო გახდა საფრანგეთისათვის და დრეიფუსის საქმემ იქნებ ამას დაუთმოს ადგილი. საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობა ერთობ დააფიქრა ამ საქმემ: ამბობენ, რომ ფაშოდაში ეხლა რომ ჩვენი დროშა ჩამოვხსნათ და მარშანი თავის რაზმით გამოვიყვანოთ იქიდგან, ეს შერცხვენა იქნება საფრანგეთისთ; ხოლო ომი რომ აუტეხოთ ინგლისს, ესეც ხეირს არ დაგვაყრის, რადგან ინგლისის ძლიერს ფლოტს ჩვენ ვერ გაუმაგრდებით და ჩვენი მასთან ბრძოლა ზღვაში იმის მსგავსი იქნება, პატარა ნავი ჯავშნიანს გემს რომ შეებრძოლოსო.

ზოგიერთს გაზეთს ამ შემთხვევაში დიდი იმედი აქვს რუსეთისა. ამბობენ, რომ რუსეთი ერთად-ერთი სახელმწიფოა, რომელსაც ინგლისთან შებრძოლება სრულებით ვერას დააკლებსო. ჩინეთ-იაპონიის ომის შემდეგ რუსეთს კიდევაც დაუმტკიცეთ ჩვენ მეგობრობა; როგორც მას სურდა, ჩინეთ-იაპონიის საქმე ისე გარდავაწყვეტინეთ და ეხლა დრო დადგა ჩვენ დაგვეხმაროს იგიო. თუ საფრანგეთ-რუსეთის კავშირს ჩვენთვის მართლა რაიმე მნიშვნელობა აქვს, შემთხვევაც ეხლაა მეგობრობა დაგვიმტკიცოს, მით უფრო, რომ დღემდის ჩვენ არაფრისათვის არ შეგვიწუხებია იგიო.

— ერთის ფრანგულის გაზეთის სიტყვით, პარლამენტის პირველსავე კრებაზედ ბრისონი მოითხოვს, რომ დრეიფუსის საქმის შესახებ არავინ შეეკითხოს მას, მანამ საკასაციო პალატა ამ საქმის შესახებ თავისს უკანასკნელს სიტყვას არ წარმოსთქვამს.

რა კი საქმე სასამართლოს აქვს გარდაცემული, დეპუტატების იმაში ჩარევა უადგილო იქმნებაო. წინააღმდეგ შემთხვევაში სამოსამართლო საქმე პოლიტიკურ ხასიათს მიიღებსო, განაცხადებს ბრისონი.

—

ჩინეთი. გაზეთები ისევ უნუგეშო ამბებს სწერენ ჩინეთის შესახებ. ბეჭდვითი სიტყვა საზოგადოდ ძლიერ შევიწროებულია თურმე დედოფლის ბრძანებით. მრავალი ჟურნალ-გაზეთი მოუსპიათ და რედაქტორებს თან აჯარიმებენ თურმე და თან საპატიმროში ჰგზავნიან. სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეები, რომელნიც ასე თუ ისე თანაუგრძნობდნენ ცვლილებათა შემოღებას, ყველანი სამსახურიდგან დაუთხოვნიათ. მიწათ-მოქმედების სამინისტრო გაუუქმებიათ. ამას წინად იაპონიაში ეხლად გაგზავნილი ხუანგი დაუტუსაღებიათ იმიტომ, რომ იგი ცვლილებათა შემოღების საქმეში მონაწილეობას იღებდა. იმპერატორის მიერ შემოღებული სახელმწიფო ეგზამენების ახალი წეს-რიგი გაუუქმებიათ და ისევ ძველი წეს-რიგი შემოუღიათ და სხვ.

უცხო სახელმწიფოების ელჩების სადგურთა კედლებზედ მთავრობას განცხადება გაუკრავს, რომლითაც ხალხს ნაბრძანები აქვს, — უცხოელებს პატივის ცემით მოეპყარითო. ერთს თავისს ბრძანებაში მთავრობა აცხადებს, რომ საზღვარ-გარეთ ხმა გაავრცელეს, ვითომც კანგ-იუმეის მომხრეები სიკვდილით იმიტომ დავსაჯეთ ჩვენ, რომ ისინი ჩინელები იყვნენ და არა მანჯურელებიო. ეს ტყუილია; სამეფო სახლი ერთნაირად უცქერის როგორც ჩინელებს, ისე მანჯურელებსო. ცუნგ-ლი-ამენში ამ ჟამად ორი მანჯურელი ჰმსახურებს და ოთხი ჩინელი, ხოლო მთავარს საბჭოში თანაბრად არიან ერთიცა და მეორეც — სამ-სამი კაციო.

◆ ◆

დამაკვირდი

სიცოცხლე უსიყვარულოდ ცუდი სიზმარია.

იტალიური ანდაზა

• • •

დედაკაცი კაცს უფრო მეტად აფასებს, ვიდრე კაცი-დედაკაცს.

შპილჰაგენი

• • •

დედაკაცს ყოველთვის მბრძანებელი უნდა ჰყავდეს: თუ ახალგაზდაა — ეს მბრძანებელი საყვარელი იქნება, თუ მოხუცი — სულიერი მოძღვარი.

შოპენჰაუერი

◆ ◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

„ეშმაკმა მოიგონა, ვფიქრობ ხოლმე მე, — სწერს ერთი გერმანელი ჟურნალისტი, — როდესაც დავინახავ ქარიშხალივით რომ მისრიალებენ ველოსიპედები. მხოლოდ ეშმაკის გამოგონებას შეეძლო ისე შეეცვალა მთელი ჩვენი კერძო და საზოგადოებრივი ცხოვრება. ველოსიპედმა მთელი ქვეყანა დაიპყრო და დაიმონავა. ხუთის წლის წინად ინგლისში 60,000 ველოსიპედზე მეტი არა ყოფილა. ხოლო ერთის წლის შემდეგ ველოსიპედების რიცხვი ავიდა 400,000-მდე. იმავე დროს ამერიკაში იყო 500,000 ველოსიპედი. საფრანგეთში ამ წელს მთავრობამ ველოსიპედებზე დაწესებული გარდასახადი მოკრიფა 1.980,000 ფრანკი. გერმანიაში $3^1/_2$ მილიონი ველოსიპედი ითვლება. მარტო ერთს ქალაქ ბერლინში 110,000 ველოსიპედია. ამბობენ, რომ ამ ჟამად მთელ დედამიწის ზურგზე სულ ცოტა 10 მილიონი ველოსიპედი უნდა იყოს. სულ ერთად რომ ვიანგარიშოთ, რამდენს გაივლიან დღეში ეს ველოსიპედები, ისეთს სიგრძეს შეადგენს, რომელიც 2,500 ჯერ შემოერტყმებოდა დედამიწას. ამ ველოსიპედების საერთო ფასის გამოანგარიშება ხომ მეტად ძნელია. მილიონები კი არა, მილიარდები ეღირება. ერთი პასტორი ასე ჰქადაგებდა ეკკლესიაში ველოსიპედების წინააღმდეგ: „დაწყევლილის ველოსიპედის გულისათვისო, ამბობდა პატივცემული პასტორი, ყველაფერი დაივიწყა ხალხმა. შემსხდარან ეშმაკის თვალზე და მთელს დღეს დახეტიალებენ რეტიანებივით. დაივიწყეს ეკკლესია, კვირა და უქმე დღე. თეატრი? ღმერთო დიდებულო, თეატრსაც-კი უღალატეს. თამბაქო? ის თამბაქო, რომელსაც სიამოვნებით სწევდნენ, ეხლა ისიც დაივიწყეს. არავინ იცის, სად და რისთვის მიეშურებიან. ღვინოსაც-კი თავი დაანებეს, არ დავითრო და ველოსიპედიდგან არ გადმოვვარდეო. ბიბლიოთეკები დაცალიერდა, წიგნის მაღაზიებს მუშტარი გამოელია. ეკკლესია და თეატრი დაცალიერდა, სარწმუნოება დაეცა და აგრეთვე ღვთის მსახურებაც. აბა რაში მოაგონდება სარწმუნოება იმ კაცს, რომელიც დილიდგან საღამომდე ველოსიპედით დასრიალობს. სასულიერო წოდების კაცნიც-კი დადიან ველოსიპედებით. ეტლების ქარხნები გაღარიბდნენ, ცხენი აღარაფრად ფასობს და ამ ერთის წლის განმავლობაში 7,000,000-თ ნაკლები სიგარა გაიყიდა, ვიდრე უწინ იყიდებოდა“. რაღა თქმა უნდა, რომ ოქსფორდის პასტორის ქადაგება ჰრჩება მხოლოდ ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.

◆ ◆

შემოწირულება

გამგე კომიტეტი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის თავის მოვალეობად სთვლის აცნობოს საზოგადოებას, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის შენობისათვის მან მიიღო, შემდეგ საზოგადო კრებისა, კიდევ: კავალერიის გენერლის თავ. ი. გ. ამილახვარისაგან, გარდა წინად მოცემულის 200 მანათისა, კიდევ 300 მან., თავ ლ. გ. ჯანდიერისაგან (გარდა წინად მოცემულის 100 მან.), ყევარი ხარ-კამბეჩი და გაუმალირთ ურემი, ღირებული 250 მანათად, თავ. დ. ჩოლაყაშვილისაგან 10 მან., პ. ბ. ნაცვლიშვილისაგან მისგან შეკრებილი ს. ახალქალაქში (ჯავახეთში) 80 მან., კ. ი. ყავრიევისაგან 20 მან და ი. გ. თულაევისაგან 10 მან. ყველა ამათ გამგე კომიტეტი უგულითადესს მადლობას უძღვნის.

◆ ◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან).

10 ოქტომბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი მობრძანდა ლივადიაში 9 ოქტომბერს.

პარიჟი. „Radical“-მა განაცხადა, რომ ბრისონს ფიქრად არა აქვს უარი სთქვას თავის თანამდებობაზე ბურჟუას სასარგებლოდ.

„Figaro“-მ დაჰბეჭდა ის ხმები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბარდის მოხსენება შეეხება ესტერგაზის მიერ დაწერილ წერილებს, რომლებიც იმას უნდა დაეგზავნა. ეს წერილები დააპატიმრა ბერტილიუსმა პიკარის საჩივრის გამო.

„Journal“-მა დაჰბეჭდა მოხსენება დერულედის თავმჯდომარეობით მომხდარ პატრიოტთა კრების შესახებ. კრებამ გადასწყვიტა — 13 ოქტომბერს მოახდინოს მანიფესტაცია არმიისა და რესპუბლიკის სასარგებლოდ.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის მთავრობამ შემდეგი პასუხი შეუთვალა დიდ სახელმწიფოთ: მთავრობა თანხმაა დიდ სახელმწიფოთა მიერ დადებულ პირობებზე, ხოლო იმედი აქვს, რომ შეწყნარებულ იქმნება სულთანის უფლება და მაჰმადიანებს მფარველობას გაუწევენ.

კონსტანტინეპოლი. გერმანიის იმპერატორი და იმპერატრიცა კონსტანტინეპოლში დაბრუნდნენ. გუშინ იმპერატორი და იმპერატრიცა წმ. სოფიის ტაძარში ბძანდებოდნენ, იყვნენ აგრედვე მუზეიში და გამოფენაზე.

პარიჟი. დრეიფუსის საქმის ხელმეორედ განხილვა დანიშნულია 15 ოქტომბერს.

პარიჟი. გრაფმა მურავიევმა დაჰყო აქ 5 დღე და მერე ვენაში წავიდა.

ვენა. ოთხმა დიდმა სახელმწიფომ გადასწყვიტეს კრიტის კუნძულზე იყოლიონ 14,500 ჯარის კაცი, ამის გამო კუნძულზე გაჰგზავნიან 3,000 კაცს ამათში 1,200 ინგლისელს.

პარიჟი. „Temps“-ს დეპეშით სწერენ ლონდონიდგან ფაშოდის საქმის შესახებ — დელკასემ ნათლად განაცხადა, რომ საფრანგეთი თხოულობს მდინარე ნილოსისაკენ, ხოლო გეოგრაფიული საზღვარი შეიძლება მერეც დაიდოსო. მარკიზმა სოლსბერიმ ვადა ითხოვა, რომ ამხანაგებს მოელაპარაკოს.

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტი ბოგოლიუბოვი დანიშნულ იქმნა იმიერ კასპიის ოლქის უფროსად.

◆ ◆

„ივერიის“ ფოსტა

ქ. გ—ი. ნ. ნ—ძეს. შაორის ბანკის შესახებ უკვე გვქონდა წერილი დაბეჭდილი.

ქ. ს—ი. ს. ი—ვას. არ დაიბეჭდება.

ს. გ—უბანი. ლ. ბ—შვილს. გურიაში ტირილის წარმოების ამბავი არ ახალია — ძველია და ყველამ კარგად უწყის.

ვ. ჩხერი. —რელს. მუზა არა გწყალობთ.

ი. ჭ—შვილს. კარგი გრძნობა-აზრი, ცუდად გამოთქმული, ნახევარს ღირსებასა და მშვენიერებასა ჰკარგავს.

ს. პ—სი. ვ. გ—შვილს. „სურათი“ არ დაიბეჭდება.

დ. ყ—ლა. ტრ. ვარძიელს. არ დაიბეჭდება.

იძვი. უცნობს. ორი შაურის ხურდის საქმეს მანდვე მოეველება, რაღა ბუკი და ნაღარა უნდა მაგ წვრილმანს.

ქ. გ—რი. ხაშას. გვჯერა, გვჯერა, მაგრამ გაზეთი აქ რა შუაშია?!.

◆ ◆

Дозволено цензурою, Тифлисъ 10 го Октября 1898 г
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე